



# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.801)  
14 - 21 ოქტომბერი 2017 წელი  
ფასი: 50 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

### წარმოგიდგინებთ დედოფლისწყაროს პეროვის კანდიდატებს და მათ წინასწარჩევნო პროგრამას. გაეცანით და გააკეთეთ სწორი, თავისუფალი არჩევანი!



ქლიანი თვითმბ.  
გვ. 3.5



ევანე ხანში  
დედოფლისწყარ.  
გვ. 3.5



ევანე ხანში  
დედოფლისწყაროს მუნიციპ.  
გვ. 3.5



გვ. 4  
**ერის  
სულიერი  
მამა**

### ხელოვანი ქალის სამყაროში

გვ. 3.5

### არჩევნები განსხვავებული შესაძლებლობების აღამიანებისთვის

გვ. 3.2

გვ. 6  
**სოლიდრობა  
მათ, „ვისი ხმაც  
არ ისმის“...**

გვ. 3.7

### ტრაგიკულ შემთხვევას ორი ახალგაზრდა ემსხვერპლა

### ქართულ-გერმანული ღუეტი

გვ. 3.8

### ე უ რ ა დ ლ ე ბ ა !

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასწარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 21 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

# აირჩიეთ გაჟორიტიარი დეპუტატოზის კანდიდატები

### ქ. დედოფლისწყარო 14.01.01

№2 ნოზრავან ნატროშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 დავით იაკოვიშვილი - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 თამაზ კოჭლაგაზაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №41 დავით გონაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### ქ. დედოფლისწყარო 14.01.02

№2 გიორგი რობიტიანი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 იმეზარ ბაქრაშვილი - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 ლევან მჭედლიშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 ბაკურ გონაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 მიხეილ ბახუტაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი არბოშიკი

№2 ვახტანგ ზუგიაშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №5 იმეზარ ზანაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 ალექსანდრე ზაბაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 არსენ ბაღაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### ქართველი“ სოფელი არხილოსკალი

№2 მანანა ალექსანდრე - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №8 შალვა ხორნაშული - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 დავით გიბაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი გამარჯვება

№2 ელგუჯა ნიკოლაშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №5 ნიკოლოზ კაკალაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 ნუზარ ფიროსმანიშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 გივი გიბაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი ზემო მარხაანი

№2 ბენადი ნატროშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 შოთა ჯამასიშვილი - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 ლევან იაკოვიშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №6 ნოდარ ტოკლიშვილი - „რესპუბლიკური პარტია“  
 №41 ალექსანდრე ბენაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი ზემო ქედი

№2 ლეილა ლავინაშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №8 ბელა თანდილაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“.

№41 აბასი ძვინარაძე - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი ოზანი

№2 იოსებ ბარსანიშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 ბიზ ბენაშვილი - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 აპრობ თიშაძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 ზაზა ჩალახაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 ზაზა მესრიშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი სამთანყარო

№2 ბრიზ ბერიძე - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 ზაურ ბერიძე - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 პაატა სურმანიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 რეზა ფუტყარაძე - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 ბაბაქანი თითარაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი ქვემო ქედი

№2 დავით დიდაშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №5 ავთანდილ ხარხაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 თამარ კურბანიშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“.

№41 გიორგი სუმარაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი საბათლო

№2 ვალდ მზანანი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №5 პარო ნარსიანი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №41 ვასილ რევაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი ხორნაბუჯი

№3 დავით ჯამასიშვილი - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 ფიქრი გოდერიძე - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №6 რიბასა ზანდელაძე - „რესპუბლიკური პარტია“  
 №8 ბელა ალდაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 გიორგი გოგილაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

### სოფელი სამრეკლო

№2 ვაჟა ნიკოლაშვილი - „ბაქრადე, უგულავა-ევროპული საქართველო“  
 №3 შალვა გომილაძე - „დემიტრი ლორთქიფანიძე, კახაკუკავა-დე-მოკრატული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“  
 №5 ვალერი გოგილაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“  
 №8 მანანა გოსტოლაშვილი - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - პატრიოტთა ალიანსი“  
 №41 გომარ საშუაშვილი - „ქართული ოცნება-დემოკრატული საქართველო“.

# არჩევნები განსხვავებული შესაძლებლობების აღმინებისთვის



2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებამდე რამდენიმე დღე დარჩა. საარჩევნო უბნებზე კომისიის წევრების წინასაარჩევნო სამზადისი აქვთ. მოწმდება თითოეული ნიუანსი, რათა პროცესმა, რომელიც ორივე კვირაშია ჩანიშნული მალალი სტანდარტებით ჩაიაროს. „შირაქი“ დაინტერესდა, როგორი პირობებია შექმნილი შპმ პირებისთვის, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის პირი გვყავს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სულ, ამის აღრიცხვა დედოფლისწყაროს საარჩევნო კომისიის არ აქვს, თუმცა, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნინო მჭედლიშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ შპმ პირებისთვის საარჩევნო უბნებზე უზრუნველყოფილი გარემოა, ხოლო რაც შეეხება პანდუსებს, 6 უბანზე მარტივი გადაადგილების პანდუსია, რომელსაც ახლახანს ორი უბნის პანდუსიც დაემატა. ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ნინო მჭედლიშვილს.

**ქალბატონო ნინო, რა პირობებია შექმნილი შპმ პირებისთვის არჩევნებში, არის თუ არა პანდუსები ყველა უბანზე?**

-6 უბანზე წინა არჩევნებშიც იყო მარტივი ადაპტირების პანდუსი, ამჯერად ორ უბანზე დაემატა მარტივი გადაადგილების პანდუსი. უფრო ზუსტ მონაცემებს მოგახსენებთ. ადაპტირებული საარჩევნო უბნებია: დედოფლისწყაროს კოსტავას ქუჩა N1- კულტურის სახლის შენობა, N2 საჯარო სკოლის, სოფელ ზემო ქედის N 2 საბავშვო ბაგა-ბაღის, სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის, სოფელ ფიროსმანის საჯარო სკოლის შენობის და სოფელ ხორნაბუჯის მუზეუმის შენობის საარჩევნო უბნების შენობები.

**- არის თუ არა სპეციალური კაბინები შპმ პირებისთვის ხმის განსახორციელებლად და, საერთოდ, რა პირობებში მოუწევთ მათ ხმის განხორციელება?**

- უსინათლო ამომრჩევლებისთვის, ყველა საარჩევნო უბანზე, საარჩევნო ბიულეტენის შესავსება ჩარჩო-ფორმა განთავსდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრებისთვის განკუთვნილ მაგიდაზე. ასევე, მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე 2



ცალი გამადიდებელი ლინზა განთავსდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრებისთვის განკუთვნილ მაგიდაზე. ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინა ადაპტირებული იქნება სპეციალური ფეხებით, ამასთან, ფარდაზე გამოსახული იქნება შპმ პირთა აღმინების სტიკერი. ყრუ, სმენადაქვეითებული პირებისთვის-

ყველა საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის ამსახველი პოსტერი თვალსაჩინო ადგილას იქნება გამოკრული. იმედა, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორც ჯანსაღი, ასევე შპმ შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისთვის მშვიდობიან და საუკეთესო გარემოში ჩაივლის.

ლალი მესრიშვილი

# უფასო პოლიტიკური რეკლამა წარმოიღებათ დედოფლისწყაროს მერობის კანდიდატებს და მათ წინასწარჩევნო პროგრამას. გაეცანით და გააკეთეთ სწორი, თავისუფალი არჩევანი!



**41 ნიკოლოზ ჯანიაშვილი**  
დედოფლისწყაროს მერად

**ქლიანი თვითმმართველობა ქლიანი საქართველოსთვის**

ნიკოლოზ ჯანიაშვილი 1983 წლის 12 სექტემბერს დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, აქვს ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. 2010 წელს სტაჟირება გაიარა გერმანიაში, „პროკრედიტის აკადემიაში“. 2005-2012 წლებში მუშაობდა „პროკრედიტ ბანკში“. 2005-2008 წლებში თელავში საკრედიტო ექსპერტად, 2008-2009 წწ ფოთში საკრედიტო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, 2009 წელს რუსთავის საკრედიტო სამმართველოს უფროსად, 2009-2010 წწ თბილისში, ლილოს ფილიალში საკრედიტო სამმართველოს მენეჯერად, 2012 წელს წნორის ფილიალის აგრო-ბიზნესის კოორდინატორად. 2013 წლიდან ბანკ „კრისტალის“ წნორის ფილიალის მმართველია. 2014 წლიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელია.

ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

„დედოფლისწყაროში დავიბადე და გავიზარდე, ჩემი საუკეთესო წლებიც აქაურობას უკავშირდება. გამგებლობის გამოცდილებაც მიმაგრებს ზურგს და მაძლიერებს, ზუსტად ვიცი ყველა იმ გამოწვევის არსი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს და რომელთა გადაჭრაც ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია. დედოფლისწყაროს უკვე აქვს ახალი საავადმყოფო, ახალი

ბიბლიოთეკა, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, განათებული სოფლები, გაუმჯობესებული წყალმომარაგება, მშენებარე სარწყავი სისტემა, ძირეულად განახლებული საბავშვო ბაღები...  
საბედნიეროდ, „ქართული ოცნების“ დამსახურებით, უკვე მეორედ გვეძლევა შანსი, ერთად ვიზრუნოთ პრობლემების გადაჭრაზე და თავად დავსახოთ

გზები ჩვენი შვილების უკეთესი მომავლისათვის, ხელმეორედ გვეძლევა შანსი, ავირჩიოთ და თავად ვმართოთ. ჩემო ამომრჩევლებო, თქვენ ხართ ის მამობრძელები ძალა, რომელმაც ჩვენი გუნდის გეგმები რეალობად უნდა აქციოს და დედოფლისწყაროს ახალი სიცოცხლე შესძინოს“.

**ლევან ბაღაშვილი დაიბადა 1978 წელს დედოფლისწყაროში. 2001 წ. დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი, საფინანსო საბანკო საქმის მენეჯერის სპეციალობით, ხოლო 2013 წ. თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა.**

სამუშაო გამოცდილება: 2001-2006 წლებში სხვადასხვა დროს თელავის და დედოფლისწყაროს საგადასახადო ინსპექცია; 2002-2006 წლებში ქ. დედოფლისწყაროს საკრებულოს დეპუტატი, საკრებულოს მდივანი; 2006-2010 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე; 2008-2010 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი; 2010-2012 წლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; 2014 წლიდან დღემდე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; სახელმწიფო ჯილდო: 2009 - წელი „ღირსების ორდენი“; ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.



**ლევან ბაღაშვილი**  
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი

განასჯელავალი ნაციონალური მოძრაობა

**გაპარტიანდეთ დედოფლისწყაროს გადასარჩენად!**



**ზაპარია სახნიაშვილი**

ზაპარია სახნიაშვილი დაბადებული 1967 წელს. პროფესიით ჟურნალისტი. ჰყავს მშობლები, მეუღლე და სამი შვილი. წარდგენილია „საქართველოს პატიოტთა ალიანსიდან“ დედოფლისწყაროს მერობის კანდიდატად.

ჩვენი პრიორიტეტებია: სასმელი წყლის პრობლემის აღმოფხვრა, რომელსაც კვალიფიციური კადრებითა და წყლის დამატებითი რესურსის მოძიებით შევძლებთ; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; სოციალური პრობლემების მოგვარება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური პაკეტის გაზრდით და პრემია-დანამატების გაუქმების ხარჯზე;  
სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული სირთულეების აღმოფხვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით.

„ჩემი მერობის პირველივე ნაბიჯი ნაგავსაყრელეების გაუქმება და შორს გატანა იქნება.  
შევისწავლით ქოჩების ტბას, რომელიც დაშრა და ყარს. ბევრს ვიმუშავეთ, საზღვრისპირა სოფლებში, რათა უკეთესად იყოს დაცული ქვეყნის საზღვრები. სამთაწყაროს, ფიროსმანის, საბათლოს მოსახლეობას სასმელი წყლის საკითხს მოვუგვარებთ, აღვუდგენთ ნორმალურ სარწყავ სისტემას, რაც ძალიან სჭირდებათ ვენახების თუ ბაღების მოსარწყავად. ქედების ზონაში დავინყებთ გაზიფიცირებას, სასმელი წყლის მოგვარებას, სანამ ეს სოფლებიც დაცლილა მოსახლეობისგან. ყველა სოციალურად დაუცველს აღვუდგება შეწყვეტილი დახმარება. ძალიან მამულოთე-ბი ქ. დედოფლისწყაროს ურბანული მოწყობა. რაიონში მდებარე ყველა ისტორიულ ძეგლს მნიშვნელოვან ყურადღებას დავუთმობთ. დარეგულირდება მიწების გასხვისების საკითხი. ცუდ მდგომარეობაშია სტადიონები, საფუძველს შევქმნით, ისევ აღორძინდეს დედოფლისწყაროში საფეხბურთო კლუბი „შირაქი“. უნდა არსებობდეს საცურაო აუზები, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ ჩვენი შვილებისთვის. მზარდი რაიონის უკეთესი მომავლისთვის თქვენთან ერთად ვიბრძოლებ“.



**ივანე შაშვილი**  
დედოფლისწყაროს მერად

ივანე შაშვილი დაიბადა 1964 წლის 20 მაისს ქალაქ ნითელწყაროში. 1991 წელს დაამთავრა ქალაქ ბელგოროდის კოოპერატიული ინსტიტუტი ეკონომისტის სპეციალობით. 1999 წლიდან მუშაობდა სოფელ ნითელწყაროს თემის საკრებულოში, 2006 წელს იყო დედოფლისწყაროს გამგებლის მოადგილე, შემდეგ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ხელმძღვანელი. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და შვილიშვილები.

**დედოფლისწყაროს მერად არჩევის უმთხვევაში:**

„დედოფლისწყაროში მოვანერგებთ სამელორაციო და სასმელი წყლის სისტემებს და გადავწყვეტთ რაიონის წყლით, განსაკუთრებით, ზაფხულობით, მომარაგების პრობლემას;  
დავასრულებთ საჯარო სამსახურებში ნაცნობ-მეგობრობითა და პარტიული ნიშნით აყვანის მავნე პრაქტიკას და რეალურად შემოვიღებთ თანაბარი შანსისა და შეჯიბრებითობის პრინციპს; მოვანყოფთ დასასვენებელ პარკებს და რეკრეაციულ ზონებს; განვაახლებთ არსებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პარკს.“

გაზეთი „შირაქი“ გაცნობებდათ, რომ დედოფლისწყაროში მერის სკამის დასაკავებლად ხუთი კანდიდატი იბრძვის. ამჯერად მხოლოდ ოთხ მათგანს წარმოგიდგენთ. მეხუთე კანდიდატს - ლაშ-სიკ ჰოშაშვიანს რაც შეეხება, „შირაქი“ დაუკავშირდა მის წარმომადგენელს, თუმცა, დაპირების მიუხედავად, მერობის კანდიდატის მონაცემები მათ არ მოგვანოდეს. მისი საარჩევნო ბიულეტენიც ვერ მოვიპოვეთ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსახლეობაში არავის დაურიგებია და არც ინტერნეტში იძებნება.  
შეგახსენებთ, რომ ლაშსიკ ჰოშაშვიანი პოლიტიკური გაერთიანება „ვამაძე-ახალი საქართველოს“ რჩეულია.



# ხელოვანი ქალის სამყაროში



ადამიანები ხშირად სხვა პროფესიით მიუყვებიან ცხოვრებას, თუმცა მათ სულში ლამაზი ხელოვნება ყვავის. თბილისის ერთ მზიან დღეს დედოფლისწყაროში დაბადებულ და გაზრდილ მელანო ზედელაშვილთან მივიჩქარე. მასთან სახლში ქალბატონი მელანოს ჯადოსნური ხელით შექმნილი ლამაზი ნამუშევრები მელიოდებიან. ერთი სული მაქვს, მას პინძელს შევხვდე, მასთან ვისაუბრო და თან მის ხელნაკეთ ნივთებს ახლოს გავეცნო. მასპინძელი დიდი სითბოთი მეგებება, კარს მიღებს და ჩემს წინ საოცარი სამყარო იშლება, ულამაზესი ნაქარგები, ლენტით ნამუშევარი ყვავილები მიღიმიან. ჩვენს შორის თბილი და საოცარი საუბარი შედგა.

**-თქვენი ბავშვობა დედოფლისწყაროს უკავშირდება, მოგვიყვიეთ, რა წამოიღეთ მშობლიური რაიონიდან საგზალად?**

-დავიბადე დედოფლისწყაროში, ბავშვობა და ახალგაზრდობაც დედოფლისწყაროში გავატარე. ერთადერთი, რაც შეიძლება ბედნიერებად ჩაითვალოს ჩემს ცხოვრებაში, რაზეც შემძლია დაუსრულებლად ვისაუბრო, ეს ბავშვობის უდარდელი წლებია, რომელიც ნადრევეად 13 წლის ასაკში დავასრულე, რადგან გარდამეცვალა მამა, რომელსაც 40 წელი გარდაცვალების დღეს შეუსრულდა... შემდეგ იწყება შეგუება ობლობასთან. ამას ისიც დაერთო, რომ მამის გარ-



დაცვალებიდან 40 დღის შემდეგ ჩემი ძმა ჯარში წავიდა და დავრჩი სულ მარტო მგლოვიარე დედასთან ერთად, რომელმაც შუქზეც კი უარი თქვა და რამდენიმე წელი ჩადრების და სიბნელის მეტი არაფერი მინახავს. ეს ურთულესი გადასატანი იყო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე კომპაგშირის რაიონში, სადაც ერთი წელი ვიმუშავე, შედეგად გადავედი სახალხო ბანკის დედოფლისწყაროს განყოფილებაში. აქ 20 წელი ვიმუშავე. პარალელურად დავამთავრე საბუნლატრო ეკონომიკური, რაც სიმართლე გითხრათ, დიდად არ მაინტერესებდა, ყოველთვის ვოცნებობდი სამხატვრო აკადემიის სტუდენტობაზე-მხატვრობაზე. მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა...

**-როგორია თქვენი ყოველდღიურობა? ახლა მოგვიყვიეთ, როგორია თქვენი ერთი დღე...**

-იმის გათვალისწინებით, რომ მიყვარს აქტიური ცხოვრება (სამსახური მაქვს თავისუფალი გრაფიკით, გამომუშავებით) სამწუხაროდ, არც ერთი დღე არ მაქვს ისეთი, მთლიანად ჩემს თავს რომ მივუძღვნა. ძირითად დროს მაინც ოჯახში, შვილებთან და შვილიშვილებთან ვატარებ.

**-რას ნიშნავს იყო მხატვარი, ხელოვანი, შემოქმედი. რა არის ეს ყველაფერი თქვენთვის და რა სულიერ საზრდოს გაძლევთ?**

-ვერ დავარქმევ ჩემს თავს მხატვარს, მე უფრო მოყვარული ვარ. ხელოვანისთვის ხატვაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება-მათი სიყვარული, პატივისცემა, თანაგრძნობა. საზრდო სჭირდება ადამიანის როგორც სხეულს, ასევე სულსაც... ხელოვნება ჩემთვის სულის საზრდოა, სულის მკვება. მაღლობელი ვარ უფლის, რომ დამაჯილდოვა ამ პატარა ნიჭით.

**-ჯიდი ამბობდა: „ხელოვნება არის ღმერთისა და ადამიანის თანამშრომლობა“.- ეთანხმებით თუ არა ამ გამოთქვამს როგორც შემოქმედი?**

-კი, რა თქმა უნდა ვეთანხმები, რადგან იმაზე დიდებულნი არაფერია, ვიდრე ღმერთთან მყოფი ადამიანი და არავინაა იმაზე არაობა, ვიდრე ადამიანი ღმერთის გარეშე.

**-„გაზიარებული სიხარული ორმაგი სიხარულია, გაზიარებული ტკივილი კი, ნახევარი ტკივილი“.- ნათქვამია თქვენი სიხარულის და ტკივილის გამზიარებლები ვინ არიან?**

-იმის გათვალისწინებით, რომ ზომაზე მეტად მგრძნობიარე და გახსნილი ვარ, ნინომ მითხრა ერთხელ: -დედა, შენ სიხარულიც და მწუხარებაც სახეზე განერიაო. რადგან ჩემი სახე ვერ მალავს ტკივილს და სიხარულს, გამზიარებლებიც ის ადამიანები არიან, ვინც სიხარულის, ან ტკივილის დროს ჩემს გვერდით აღმოჩნდებიან ხოლმე.

**-რას ნატვრით ხშირად?**

-ყოველდღე ვნატვრებ ჩემი ოჯახის წევრების და ახლობლების ჯანმრთელობას. ჩემი ნატვრაა, ერთი პატარა სახელოსნო, სადაც მექნება საშუალება, მოვახდინო იმ ჩანაფიქრის განხორციელება, რაც ჩემს გულში და გონებაში ინახება...

**-არის თუ არა დღეს ხელო-**

**ვანის პროფესია რენტაბელური საქმე ფინანსური თვალსაზრისით და სად ახდენთ თქვენი ნამუშევრების რეალიზაციას?**

-არის თუ არა რენტაბელური საქმე ხელოვნება ფინანსური თვალსაზრისით? -არ ვიცი, არ მაქვს ამ კითხვაზე პასუხი. წლების წინ მქონდა სერიოზული პრობლემა ჯანმრთელობის მხრივ, ამას დაერთო ჩემი პირადი ცხოვრების მთლიანად შეცვლა და მე საკუთარი თავის სამკურნალოდ, სასიცოცხლოდ და სულის გამოსაკვებად შევექმენი ეს კომპოზიციები, რომლებიც ასახავენ ჩემს სულიერ ტკივილს, სევდას, იმედგაცრუებას, სიხარულს. ეს ჩემი პატარა ბუდეა, პატარა სამყარო. სამყარო, რომელიც მაცოცხლებს და მაბედნიერებს. რეალიზაცია? არ მიცდია, რომ ჩემი ნამუშევრები ფინანსური შემოსავლის წყაროდ მექცია, თუმცა ბევრჯერ მქონდა შემოთავაზებები.

**-ვინ ვართ ქალები და რა როლი გვაკისრია გარდა დედობისა ცხოვრებაში და რა შეგვიძლია ჭკვიან ქალებს?**

-ქალი?-ქალი სიცოცხლის სანყისია!  
„ქალი ძალაა, ხსნის ძალა!  
ბევრ გაჟაღს მუხლსაც მოხარვენიებს,  
ქალი ვარდია, ქალი ეშმაა,


ქალი ნაზი და უღო-შობელია, მაგრამ ქალი ზომიანი ქალია, ქალი დედა და დღოსმ-შობელია!...“  
ჭკვიან ქალს შეუძლია ოჯახი და პროფესიული საქმიანობა შეუთავსოს ერთმანეთს და ორივე სფეროში წარმატებას მიაღწიოს.

**- თქვენი შვილების შესახებ მოყვიეთ**

...  
-ჩემი შვილები-უფლის დიდი წყალობა და საჩუქარია. 8 წლის წინ მქონდა ერთი ბედნიერი სალამო, სტუმრად ჩვენს პატრიარქთან, პირისპირ... ეს იყო საოცარი შეხვედრა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მან დამლოცა და მითხრა:- ყოჩაღ, კარგი ბიჭების გაზრდისთვის! არ არსებობს მეტი ჯილდო დედისთვის...თუმცა ჩემი ბიჭები დღემდე მსაყვედურობენ, რომ მე საშინლად მკაცრი ვიყავი... (დღეს შემძლია ჩემი სიმკაცრის შენდობა ვთხოვო მათ); უფროსი ვაჟი -ზურა ალადაშვილი დღეს მეორე კურსის სტუდენტია, მიხარია, რომ წლების მერე მიაღწია მიზანს და დღეს წარმატებული სტუდენტია. პარალელურად მეუფე იაკობის სტიქაროსანია. უმცროსმა, -უჩა ალადაშვილმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, 14 წელია ემსახურება ილია მეორეს, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე ნინო მაისურაძე, რომელიც ჩემი მესამე შვილია. გვყავს ორი ანგელოზი- ანდრია და ილია, რომე-



ლზეც შემძლია დაუსრულებლად ვილაპარაკო. მოკლედ, ვიტყვი, რომ ძალიან ჭკვიანი და წესიერი ბავშვები არიან. ჩემს ოჯახს და დედოფლისწყაროელებს ვუსურვებ მშვიდ და გაძლიერებულ, დამშვიდებულ საქართველოში ცხოვრებას.



**-როგორ ფიქრობთ, დღეს საქართველოს რა სჭირდება იმისთვის, რომ ის ჩვენთვის სასურველი და მისაღები ქვეყანა გახდეს?**

-ვინატრებდი ისეთ მთავრობას, რომელიც წინასწარ ჩვენ დაპირებებს რეალურად განახორციელებს, შექმნის სამუშაო ადგილებს. ქვეყანა მაშინაა სასურველი და მისაღები საცხოვრებლად, როდესაც არ ჰყავს ადენი უმუშევარი, გაჭირვებული და სოციალურად დაუცველი ადამიანი.

**-მომავლის ხედვები, თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით?**

-რამდენიმე წლის წინ მქონდა გახსნილი ხატურის და ქარგვის შემსწავლელი სკოლა-სტუდია, რომელმაც დროებით შეაჩერა ფუნქციონირება, ვოცნებობ მის აღდგენაზე და განვითარებაზე.





# ქართულ-გერმანული დუეტი

„ჩვენთვის ეს სპირიტუალიზმი იმ თვალსაზრისით, რომ არასდროს გვიმღერია ბასი და ყანჩელი...“

ქართულ-ხალხურ სიმღერებს ცნობილი გერმანული ანსამბლის წევრები ასრულებენ, რომლებიც 11 ოქტომბერს ანსამბლ „შავნაბადასთან“ ერთად დედოფლისწყაროს სტუმრობდნენ. ანსამბლ „შავნაბადას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა დავით ცინცაძემ მათ მშვენიერი მეგზურობა გაუწია და სალამოს წამყვანის ფუნქციაც იკისრა. ის სტუმრებს ესაუბრა ჰამლეტ გონაშვილის შესახებ, „რომელიც ქართული

სიმღერის უბადლო შემსრულებელი იყო და რომელიც ქიზიყში დაიბადა და გაიზარდა. ლოგიკურია ალბათ, რომ დედოფლისწყაროში ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა სწორედ მის სახელს ატარებს. დღეს ამ სკოლაში ხალხურ სიმღერებს პროფესიულად ეუფლებიან ნორჩი მომღერლები მასწავლებლის-გელა გველეუკაშვილის ხელმძღვანელობით“ - აღნიშნა ცინცაძემ.

ჩვენ ამ ექსპერიმენტით ვუბრუნდებით ევროპული პოლიფონიის საფუძველს, მოგესვენებათ, ქართული პოლიფონია ევროპული პოლიფონიის ნაწილია... საქართველოში პირველად რომ ვიყავი, სწორედ მაშინ დამებადა იდეა ქართული და გერმანული პოლიფონიური სიმღერების შერწყმის“-ამბობს cantus domus-ის ხელმძღვანელი.



cantus domus 1997 წელს გერმანიაში, კერძოდ ქალაქ ბერლინში ჩამოყალიბდა. მას შემდეგ ის აქტიურად მართავს კონცერტებს, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლის ახლანდელი ვიზიტი გერმანია-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25-ე წლისთავს ეძღვნება. Cantus Domus-ი არის სხვადასხვა პროფესიის გერმანელებისგან შემდგარი გუნდი, რომლებიც ქართული ხალხური

და პროფესიული საგუნდო სიმღერის სიყვარულმა ჩამოიყვანა საქართველოში, კერძოდ ქიზიყში, დედოფლისწყაროს რაიონში. ბერლინის გუნდმა Cantus Domus დედოფლისწყაროს ჰ. გონაშვილის სახ. ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის დაფუძნებასთან და „ზორნაბუფთან“ ერთად გამართა ღონისძიება, სადაც შესრულდა ქართული ხალხური სიმღერის ნიმუშები. გერმანელები ალაფრთოვანა ქართული ხალხური

ინგა შილაშვილი



**იყიდება 67კვ.მ კომერციული ფართი ძველი რემონტით ქალაქ დედოფლისწყაროში, უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით, წყლით, ბუნებრივი აირით, კანალიზაციით. ფასი შეთანხმებით.**  
მსურველები დაგვიკავშირდით ☎ 599 55-90-20

## როგორი ზამთარი იქნება წელს

იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში გასულ ზაფხულს გვალვა ხანგრძლივად გაგრძელდა და ძალიან ცხელი იყო, რამაც გარკვეული ზარალიც გამოიწვია, ჩნდება კითხვა, - როგორი იქნება ზამთარი? როგორც ამბობენ, უმკაცრესი...

სწორედ ამის გასარკვევად გარემოს ეროვნული სააგენტოს შიდა მონიტორინგის სამსახურის უფროსს, რამაზ ჭიჭინაძეს მივმართეთ.

„გვალვა გამორჩეული და იშვიათი მოვლენა ნამდვილად არ არის. ბოლო 50 წლის განმავლობაში ბევრად გახშირებულია, ვიდრე ადრეულ წლებში ყოფილა, რასაც მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოში, კლიმატის ცვლილებას უკავშირებენ. გვალვა, თუ გახსოვთ, 2000 წელსაც მასშტაბური იყო, რომელმაც სერიოზული ზარალი გამოიწვია, დაახლოებით 300 მლნ ლარი. წლებზე წინ წინაგადასული იყო, ხანგრძლივი და ზარალიც დიდი, მაგრამ არ მგონია, მთლად იმ დონის იყოს, როგორც 2000 წელს“, - გვეუბნება ბატონი რამაზი.

რაც შეეხება მომავალი ამინდის პროგნოზს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რესპონდენტის თქმით, შესაძლოა, ტემპერატურამ დაიკლოს (უკვე დაიკლო კიდეც), იყოს ნალექი, ზოგან წარბი და წყალმოვარდნაც. მაღალ მთაში წვიმა თოვლში გადაიზარდოს. ზოგადად კი შემოიჭრება ჩრდილოეთიდან ჰაერის ცივი და ნოტიო მასები.

- და ასე გაგრძელდება?  
- ტემპერატურა თანდათან ისევ აიწევს. მთლიანობაში რომ ვთქვათ, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი, რომელიც მთელ მსოფლიოში გარკვეული დაკვირვებით დგება, მოსალოდნელი ზამთარის შესახებ არ არის სწორი. შარშანაც ასე ამბობდნენ, მაგრამ არ გამოდგება.

- მოკლედ, მთავარი ხმა, რომ მომავალი ზამთარი ანომალური იქნება, არ დასტურდება.  
- რაც უფრო დიდა ნინსწრება პროგნოზირებისა, მით უფრო ნაკლებია მათი გამართლებადობა. ჩვენ გვაქვს წვდომა მსოფლიო მონიშნავ პროგნოზის (ცენტრებთან, ვიცინობთ მათ მონაცემებს, და ამიტომ ვერც დავადასტურებთ, რომ განსაკუთრებით მკაცრი იქნება ეს ზამთარი. ვერჯერობით არანაირი საფუძველი არ არის იმის, რომ განსაკუთრებით ანომალურად ცივ ზამთარს უნდა ველოდოთ.

## ულოცავე!

### ილია ბიკაშვილი!

ჩვენო ილიკო, სულითა და გულით გილოცავთ შენი საყვარელი შვილების დაბადების დღეებს: ნინს 18 ოქტომბერს 3 წელი უსრულდება, ხოლო შენს ვაჟაკს ალექსანდრეს, 25 ოქტომბერს - 2 წელი. მათთან ერთად მათ დედიკოს - თინას ვულოცავთ დაბადების დღეს, რომელიც ასევე ოქტომბერშია დაბადებული. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, სიკეთეს, ბედნიერებას და უღვევ სიხარულს.

ღმერთმა დაგლოცოთ და გააძლიეროთ!

**სიყვარულით, ბიძა შოთა, ბიკოლა ნანა, ბიკაშვილები მუხრანის, ლალი ოჯახებით.**

### ჯანა შიტიანი!

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის ინგლისური ენის პედაგოგს ჯანა შიტიანიშვილს დაქორწინებას! ვუსურვებთ აკვანთა სიმრავლეს, ღვთის წყალობას, ღამაში ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნას და ბედნიერ სიცოცხლეს!

### დავით ბიკაშვილი!

### ნათია ხოშვილი!

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ უღვევ სიხარულსა და სიყვარულით დაბერებას. ჩემო დათო, ბილიაშვილები ძალიან ცოტანი ვართ და აბა, შენ იცი, „სულ ბიჭები, სულ ბიჭები, ჩაგვიჩაგვინიკნიკე“.

სიყვარულით და კეთილი სურვილებით ნათილა პაპიძე ოჯახით.

## საპატიო წოდება

არიან ადამიანები, ვინც თავისი საქმიანობით და ნამოღვაწით წლების მანძილზე საზოგადოებაში დიდ კვალს ტოვებენ. მთამომავლობა ყოველთვის მადლიერია ასეთი ადამიანის და არასოდეს დაივიწყებს მას.

ასეთი ღვაწლმოსილი და ამაგადარი ადამიანი სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დანაშაულები კლასის პედაგოგი ქალბატონი **ლ.ნ. ხარაშვილი**. მისი ამაგი განუზომელია მომავალი თაობის აღზრდა-განვითარებაში. მან წლების მანძილზე ვინ მოსთვლის, რამდენი პატარა დაფრთხიანა და გამოიყვანა ცხოვრების ასაპრუზე. ამიტომ არის, რომ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა თვითმმართველობამ იგი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ დაასახელა.

ვულოცავთ ლინა ხარაშვილს ჩვენი მშობლიური რაიონის საპატიო მოქალაქეობას!

საპატიო წოდებას!

ღმერთმა კვლავაც მისცეს მას ჯანმრთელობა, ენერჯია და ენთუზიაზმი, კვლავაც იღვანოს და იმრომოს მომავალი თაობის ღირსეულად აღსაზრდელად.

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

## ღირსეული წარმატება!

რუსუდან გონაშვილი სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული, ერთდროულად ახალგაზრდა პედაგოგია. იგი განსაკუთრებით დაინტერესებულია თავისი პროფესიული საქმიანობით, სწავლა-სწავლების თანამედროვე სტანდარტების ცოდნით და ახლებური მიდგომებით.

ამიტომ არის, რომ ის უკვე რამდენი წელია, მოღვაწეობს უფროსი მასწავლებლის (სერთიფიცირებული) სტატუსით, ამავე დროს წარმატებული ტრენინგის პედაგოგებისთვის თავის საგანში.

რუსუდანის პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო ამით არ შემოიფარგლა. იგი წელს დოქტორანტის სტუდენტაც გახდა.

გულით ვულოცავთ რუსუდანს ამ დიდ წარმატებას, სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა ამაცოხს მისი ავტორიტეტით რესპუბლიკის მასშტაბით.

რუსუდანს ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს და უღვევ სიხარულს როგორც პედაგოგიურ საქმიანობაში, ასევე პირად ცხოვრებაშიც.

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო											
ორშაბათი 16.10 დღე 12°	სამშაბათი 17.10 ღამე 10°	ოთხშაბათი 18.10 დღე 11	ხუთშაბათი 19.10 ღამე 9°	პარასკევი 20.10 დღე 12°	შაბათი 21.10 ღამე 11°	კვირა 22.10 დღე 14°	ღამე 13°	დღე 16°	ღამე 14°	დღე 17°	ღამე 14°	დღე 11°	ღამე 7°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შილაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლფია: ლალი მხარაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელა ხარაშვილი (სტილისტ-მეგობარი); ნათილა შოსტაშვილი (ბუალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მეგობარი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იმეორება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.